

ტარიელ ფუტკარაძე

**ქართული ენა -
ქართველთა ეროვნული სიცოცხლე**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის,
უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის
ეპისტოლეების, ქადაგებებისა და სიტყვათა მიხედვით

კაცობრიობის ისტორია ხალხების გაჩენისა და დაღუპვის მძიმე ქრონიკაა. ამ ფონზე სასწაულს ჰგავს ქართველი ერის 33-საუკუნოვანი სიცოცხლე, რომელიც, პირველ რიგში, **ქართული ენითაა** განხორციელებილი.

ბოლო 2000 წლის განმავლობაში ქართველთა ეროვნული არსობა ქრისტიანობამ რომ ასაზრდოვა, ესეც უეჭველია. დამპყრობელთა შემოსევის დროს **ქართველთა ბრძოლას** შეუპოვარს ხდიდა რწმენის დაუთმობლობა, ვინაიდან ქრისტიანობა ქართველისთვის არ იყო მხოლოდ ცხოვრების ფილოსოფია და არსებობის წესი: დროთა განმავლობაში ქრისტიანული ტაძრები და მონასტრები იქცა ქართველური (ქართულენოვანი) კულტურის აქტიურ ცენტრებად და **ეროვნული ცნობიერების ღვთიურ ნაკადულებად**. გარდა ამისა, როცა სახელმწიფოებრიობას ~~ღ~~ლიდა მტერი, საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესია ინარჩუნებდა ერთიან ეკლესიურ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სივრცეს და სახავდა სწორ ეროვნულ ორიენტირებს. ასეა დღესაც, როდესაც მტრის მიერ ოკუპირებული და ანექსირებულია მსოფლიოს მიერ აღიარებული საქართველოს ტერიტორიის 20%.

დღესაც, იმპერიული თუ გლობალისტური დიდი აგრესიების პერიოდში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, **უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის** სიტყვანი ნათლად გამოკვეთს ქართველთა ეროვნული გადარჩენის გზას.

ნაშრომში წარმოდგენილია უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ხედვა **ქართველთა ენობრივ-კულტურული ისტორიისა** და თანამედროვე **საფრთხეების** შესახებ.

მართალი ლაზარე - ქართველი ერის სიმბოლო

მრავალი საუკუნის წინ, სავარაუდოდ, ახალი წელთაღრიცხვის VIII-IX საუკუნეებში ღვთივკურთხულმა ადამიანმა დაწერა “შესხმაი ქართველთაი და ქართველთა ენისაი” (“ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი”). იოვანე ზოსიმეს დაბადებამდე დაწერილ ამ მისტიურ ლექსში ქართველი ერის სიცოცხლე ქრისტეს მეგობარ ლაზარეს ბედთანაა გაიგივებული.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ **ლაზარეს შაბათი** გამოცხადებულია **ქართული ენის ეროვნულ დღესასწაულად**; კერძოდ, ამის შესახებ 1986 წელს, 13 (26) აპრილს, ლაზარეს შაბათის ქადაგებაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია მეორემ ბრძანა**:

“...ივერიის ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატის წინასწარმეტყველებით, საქართველო გაბრწყინდება უკანასკნელ ჟამს.

საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ცნობილია და ჩვენ ვიცით, რომ X საუკუნეში ყოველივე ეს ხილვით ეუწყათ წმიდა მამებს ივერონის ქართველთა საფანეში... როცა მთელი ქვეყანა დაკარგავს რწმენას, სიყვარულს, სათნოებას, საქართველო გაბრწყინდება სარწმუნოებით, სიყვარულით, სიწმიდით. ამ დროს ქართველი ერისთვის უფლისმიერი ჯილდო იქნება ის, რომ მეორედ მოსვლის ჟამს უფალი კაცობრიობას განსჯის ქართული ენით.

მას შემდეგ, როცა ცნობილი გახდა ეს დიდი საიდუმლო, მას შემდეგ, როცა უფალმა გამოუცხადა ჩვენს წინაპარს, რომ “სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან“, ქართველობა ზეიმობდა ქართული ენის დღესასწაულს - ლაზარეს შაბათს. მაგრამ ქვეყნის ავბედობამ, მისმა მძიმე წარსულმა წაშალა ეს კურთხეული და წმიდა ტრადიცია. **დღეს კვლავ დადგა ჟამი და აღვადგინეთ ეს დღესასწაული**¹.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ამ ქადაგების შემდეგ საქართველოში აღდგა ძველქართული ტრადიცია - ლაზარეს აღდგინების დღეს ქართული ენის დღესასწაული²; 1986 წლიდან დღემდე, “საქართველოს ეკლესიის კალენდრის“ მიხედვით, ყოველ ლაზარეს შაბათს ეკლესიის მიერ საზეიმოდ აღინიშნება ქართული ენის დღე.

2003 წლის ქადაგებაში საქართველოს პატრიარქმა ბრძანა: **“წმიდა და მართალი ლაზარეს აღდგინების დღე არის ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაული - ქართული ენის ზეიმი**³.

აქვე არსებითია იმის აღნიშვნა, რომ ფრაზა: **“სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან**“ მოცემულია დიდი მნიშვნელობის მქონე ძეგლში: **“ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი**“, რომლის სხვა სახელია: **ქებაი ქართველთაი და ქართველთა ენისაი**; კერძოდ, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნთსაცავის ხელნაწერთა ფონდის ბერძნულ კოლექციაში დაცულია იოვანე ზოსიმეს **“ლიტურგიკულ ენციკლოპედია**დ“ ცნობილი ხელნაწერი კრებული; მის სარჩევში **“ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი**“ შესულია როგორც: **“შესხმაი... ქართველთაი და ქართველთა ენისაი**“. სხვა ხელნაწერებშიც სხვაობს ლექსის სათაური და სარჩევში წარმოდგენილი ვარიანტი; მაგ., მიქაელ დეკანოზის კრებულის სარჩევში (ზანდუკში) მე-10 თხზულებაა **“ქებაი ქართულისა ენისაი**“ (მიქაელ დეკანოზის თხოვნით, სარჩევი დაიწერა

¹ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგება ლაზარეს შაბათს (13/26 აპრილი, 1986 წ.); ჯვარი ვაზისა, №1, 1986 წ.

² ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ამონარიდი 1997 წლის ქადაგებიდან: **“ლაზარე ქართულ ენასთანაა დაკავშირებული. ქართულმა ეკლესიამ ლაზარეს შაბათს ქართული ენის დღესასწაული დააწესა...”** (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგება ლაზარეს შაბათს [აპრილი, 1999 წ.]; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი II, თბ., 1997, გვ. 299).

³ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგება ლაზარეს შაბათს (19 აპრილი, 2003 წ.), საპატრიარქოს უწყებანი, №16, 25 აპრილი - 01.05. 2003 წ.

იოვანე-ზოსიმეს ხელით) მაგრამ საკუთრივ ტექსტში, რომელიც სხვა გადამწერის ხელითაა დაწერილი, ლექსის სახელია: **“ქართულისა ენისათვის”⁴**.

ლოგიკურია დავასკვნათ: **მემატიანეთა აზრით, ლაზარე არის ქართველი ერისა და ქართული ენის სიმბოლო**. შესაბამისად, ლაზარეს აღდგინების დღე არის ქართული ენისა და ქართველი ერის დღე.

რომელი საუკუნიდან ვდღესასწაულობთ ქართული ენის დღეს?

პირველ რიგში, მოკლედ ამ **წმიდა ტრადიციის** შესახებ:

“ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ წყაროებში ჩნდება X საუკუნიდან, კერძოდ, 4 ხელნაწერით შემოგვენახა; ამათგან ერთი ვარიანტი, რომელიც **მიქაელ დეკანოზის** სურვილით შექმნილ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებულზეა დართული, კალიგრაფიულადაც და რედაქციულადაც განსხვავდება იოვანე ზოსიმეს მიერ გადაწერილი სამი სხვა ხელნაწერისგან. ეს გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ: **იოვანე ზოსიმე არ არის “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის” ავტორი**. ეს ცხადია ჩვენთვის ცნობილ პირველ ქართულ თარიღიან ხელნაწერში (“სინური მრავალთავი“, 864 წ.) ჩართული “ქებაის“ ტექსტზე არსებული მინაწერთაგან:

“ქრისტე, შეიწყალე მხრეკელი ამისი იოვანე, ამენ“.

აღსანიშნავია, რომ “გაჩხრეკა“ გამოწვევლილვით განხილვას (საბა), რედაქტორობას, ძიებას ნიშნავს და არა ავტორობას⁵; **შდრ.:** მხრეკალი - იგივეა რაც მწერალი, გადამწერი (ი. აბულაძე). სინური მრავალთავის კიდევ ერთი ფრაზა: **“შემინდვეთ წმიდანო ღმთისანო, უცხად ჩხრეკისათვის, არაის თუ მწერალი ვიყავ“.**

ძველი ტექსტები ასხვავებს “უცხად მხრეკელსა“ და მწერალს; ჩანს, **მწერალი** ტექსტის პროფესიონალი გადამწერია (კალიგრაფია), **მხრეკალი კი - შემოსველი, ამკინძველი, ტექნიკური რედაქტორი** (რომელიც ზოგჯერ კალიგრაფობს კიდევ; იხ. ქვემოთ).

ფაქტია ისიც, რომ “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ IX საუკუნეში უკვე პოპულარული იყო საზღვარგარეთის ქართული კულტურის ცენტრებშიც: იერუსალიმსა (საბაწმიდასა) და სინას მთაზე.

ჩვენი შემდგომი მსჯელობისთვის არსებითია **“საბაწმიდური მრავალთავის“** შექმნისა და შემოსვის ისტორია:

ყველასთვის ცნობილი “სინური მრავალთავი“ წარმოადგენს **“საუფლო და დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე“** წასაკითხ ჰომილეტიკურ თხზულებათა (ზეპირად თქმულ ძველ საეკლესიო ქადაგებათა, მოძღვრებათა) კრებულს. კრებული შექმნილია **იერუსალიმში**, წმიდა საბას ლავრაში, 864 წელს⁶ (ინიციატორი და ერთ-ერთი გადამწერია **მაკარ ლეთეთელი** - გრიგოლ ხანძთელის ერთ-ერთი

⁴ ვარიანტების შეპირისპირებისათვის ვრცლად იხ. კრებული: “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ (შემდგენელ-რედაქტორი ტ. ფუტყარაძე), ქუთაისი, 2000.

⁵ კრებული: “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ (შემდგენელ-რედაქტორი ტ. ფუტყარაძე), ქუთაისი, 2000, გვ. 93-94.

⁶ შემდეგ ხელნაწერი აუტანიათ სინას მთაზე; შდრ.: უფრო სამართლიანი იქნებოდა, ამ ხელნაწერს დარქმეოდა “საბაწმიდური მრავალთავი“ (ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, თბ., 1975).

მოწაფე). სწორედ ამ უძველეს, IX საუკუნეში უკვე ტრადიციულ სადღესასწაულო საკითხავ კრებულშია ჩართული “ქეზი და დიდები ქართულისა ენისაი”.

ცნობილია, ასევე, რომ ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი 981 წელს **მესამედ შემოსა** იოვანე ზოსიმემ. ზოსიმეს ხელითვეა გადაწერილი “ქეზი და დიდები ქართულისა ენისაის” აქვე წარმოდგენილი ვარიანტი; სწორედ ამიტომ ვარაუდობენ, რომ “სინურ მრავალთავს” **ქართული ენის (ქართველი ერის) ქეზი** დაამატა იოვანე ზოსიმემ. თავის ანდერძში იოვანე ზოსიმე ამბობს, რომ მან მოხუცებულობის ჟამს შემოსა “ესე წიგნი მრავალთავი”.

ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ თუკი იოვანე ზოსიმე რომელიმე ტრადიციულ კრებულს, მით უმეტეს ასწლოვან, იერუსალიმში შექმნილ კანონიკურ სადღესასწაულო **ჰომილეტიკური თხზულებების** კრებულს თავისი ინიციატივით რაიმეს დაუმატებდა, ამის შესახებ მიუთითებდა კიდევ; კერძოდ, იოვანე ზოსიმე **სხვა შემთხვევაში აღნიშნავს ხოლმე, თუკი რაიმეს ამატებს**; მაგ.: იმავე პერიოდში (983 წ.) სხვა ხელნაწერის შემოსვის დროს “იოვანე-ზოსიმემ კრებულს დაუმატა ერთი მცირე მოცულობის თხზულება: “და კუალად სხუაი ჰამბავი ღამისთევისათვისვე” **შენიშნით**: “ესეაი უკუანაის ვპოვე და აქა შევჩხრიკე. შემინდვეთ და ლოცვა-ყავთ”⁷.

ვფიქრობთ, არ უნდა გამოვირიცხოთ, რომ “მრავალთავის” იერუსალიმურ ვარიანტშივე იყო “ქეზი და დიდები ქართულისა ენისაი”. უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ის, რომ 864 წელს გადაწერილი დიდი ხელნაწერის **ბოლო ფურცელი დროთა განმავლობაში მეტად შეიღახა**, რის გამოც შემოსველმა იგი 981 წელს ხელახლა **გადაწერა - გააახლა**.

შდრ., ზემოთ ციტირებული ფრაგმენტიდან (“ესეაი უკუანაის ვპოვე და აქა შევჩხრიკე. შემინდვეთ და ლოცვა-ყავთ”) ჩანს, რომ ტერმინი “მჩხრეკელი” შეიძლება გავიაზროთ, როგორც “დამმატებელიც” (შევჩხრიკე - დავამატე): მჩხრეკელი - “ცუდად” გადაწერი; დაჩხრეკა - “დაწერა”; დაჩხრეკილი - “დაწერილი”; ჩხრეკა - “ჩიჩქნა”/“წერა”⁸.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ IX საუკუნეში თუ არა, X საუკუნეში მაინც ქართული ქრისტიანული კულტურის უპირველეს საზღვარგარეთულ ცენტრში - სინას მთაზე - **საუფლო და დიდ საეკლესიო ღღესასწაულებზე იკითხებოდა ხოლმე** “ქეზი და დიდები ქართულისა ენისაი”.

მაშასადამე, მრავალი საუკუნის წინ **სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში აქტუალური** იყო იდეა: ქართული ენის (**ქართველი ერის**) სიმბოლო - **უფლის მეგობარი ლაზარე**.

ამას ცხადყოფს შემდეგი ფაქტებიც:

- იოვანე ზოსიმემ “ქეზი და დიდები ქართულისა ენისაით” დაამთავრა საბაწმიდის ლავრაში მის მიერ შედგენილი “ლიტურგიკული ენციკლოპედია” (950-965 წლებში);

- სინაწმიდის დეკანოზის, კვირიკე მიძნაძორელის სურვილით, “ქეზი და დიდები ქართულისა ენისაი” დაერთო სინას მთაზე გადაწერილი ოთხთავის სრულ ნუსხას (979 წელს);

- სინას მთაზე მოღვაწე მიქაელ დეკანოზმა “ქეზი და დიდები ქართულისა ენისაი” ჩართო ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში (981-983 წლებში).

⁷ კრებული “ქეზი და დიდები ქართულისა ენისაი”, ქუთაისი, 2000, გვ. 41.

⁸ ჩხრეკ- ძირის ვარიანტებისათვის იხ. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.

სწორედ წინაპრების ხედვის გათვალისწინებით ბრძანებს უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე:

“ადრეულ საუკუნეებში ქართველობა საზეიმოდ აცხადებდა: **“და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან”**... ქვეყნის ავბედობამ, მისმა მძიმე წარსულმა წაშალა ეს კურთხეული და წმიდა ტრადიცია. ჩვენ უნდა აღვადგინოთ ეს დღესასწაული”⁹.

“ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ უცნობი ავტორის კვალად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე მიიჩნევს, რომ **ლაზარე არის ჯვარცმული ქართველი ერის** სიმბოლო; კერძოდ, ერთი მხრივ, **ქართველი ერის დანიშნულებაა** სიმართლითა და სიყვარულით განმსჭვალული სიცოცხლე¹⁰; მეორე მხრივ კი, **ქართველი ერი და ქართული ენა ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია**¹¹.

დღეს ზოგი ფსევდოლიბერალი ცდილობს, რომ გააკრიტიკოს “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, როგორც ქართული მესიანისტური იდეის წარმომჩენი პოეტური ქმნილება; გარდა ამისა, უარყოფითად აფასებენ საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ლაზარეს შაბათს საზეიმოდ აღინიშნება ქართული ენის დღე.

ყოველი ერი და პიროვნება ეძებს თავის დანიშნულებას; შესაბამისად, არა აწმყოში (თუნდაც ამქვეყნიურ ველში), არამედ მეორედ მოსვლის ჟამს ქართველი ერის **სულიერად ამაღლების ნდომა** ვინმეს მიერ რატომ უნდა იყოს კრიტიკის საგანი?

მეორედ მოსვლის ჟამს ამაღლება ყოველი ქრისტიანის ოცნებაა. ანალოგიურად, “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ შემოქმედი გვეუბნება, რომ უფლისგან შემკული და კურთხეული ქართველი ერი (ქართული ენა) - **სიყვარულით მცხოვრები ერი, რომელიც** ამქვეყნიურ სამყაროში (ოდიტგან “დღესამომდე“) ძლიერ იმპერიათაგან ტანჯულია (“დამარხულია“, “მდაბალია“, “დაწუნებულია“), **ამაღლება განკითხვის ჟამს...** იგივე სურთ ამ ლექსის ჩვენთვის ცნობილ პირველ დამფასებელთ: **იოვანე ზოსიმეს, დეკანოზ კვირიკეს, დეკანოზ მიქაელს...** ამასვე ამბობს ჩვენი თანამედროვე, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე; ეს ეოცნებება ბევრ სხვა ქართველს¹²...

⁹ ლაზარეს აღდგინების ხატი X საუკუნისა (ხატების ელექტრონული ვერსიები მოგვაწოდა ბ-ნმა ლ. ტოგონიძემ).

¹⁰ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგება ლაზარეს შაბათს, ლაზარეს აღდგინების სახელობის ტაძარში (კინოსტუ-დიის ეზოში) 2005 წლის 23 აპრილს; საპატრიარქოს უწყებანი, №28, 28 აპრილი - 11 მაისი, 2005 წ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი II, თბ., 1998, გვ. 2.

¹¹ ილია II: “ვინ წარმოშვა ქართული ენა? ქართველმა ერმა წარმოშვა ქართული ენა, თუ ქართულმა ენამ წარმოშვა ქართველი ერი? ღვთის კურთხევით, მათი შობა ერთად მოხდა: წარმოიშვა ქართული ენა და წარმოიშვა ქართველი ერი“; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგება ლაზარეს შაბათს (13/26 აპრილი, 1986 წ.); ჯვარი ვაზისა, №1, 1986 წ.

“ქებაის“ ტექსტში ენისა და ერის მიმართების შესახებ ვრცლად იხ. კრებული: ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი, ქუთაისი, 2000.

¹²რაც დრო გადის, უფრო მეტი ქართველი, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა ხდება მორწმუნე, აღმსარებელი; განა ეს არ არის ხილული ნიშანი, რომ ქართველობა ლაზარეს კვალს მიჰყვება?!

აქვე შევნიშნავთ: ფსევდოლიბერალები ბოლო პერიოდში უფრო აქტიურად ცდილობენ, მძაფრად “გააკრიტიკონ” ადრექრისტიანული ხანის ქართული მესიანიზმი და დღეს აქტიურად გამოყენებული ფრაზა: **ივერია გავრწყინდება!**

ჩვენი წინაპრის ხედვა თუ სხვადასხვა თაობის ქართველთა სურვილი მომავალში ქართველი ერის გაბრწყინებისა არ არის ის მესიანიზმი, რომელიც უნდა ვაკრიტიკოთ; მეტიც, ეს უნდა გავიაზროთ როგორც ერის არჩევანი, იაროს ქრისტეს გზით; ასევე: ლაზარეობა “დაფლვით ნათლისღებაა”, ერის/პიროვნების არსებობის ქრისტიანული გააზრებაა, ერის/პიროვნების მიერ საკუთარი მისიის ქრისტიანული აღქმა და არა მკრეხელური მესიანიზმი¹³.

საქართველოს ეკლესიის მიერ ლაზარეს შაბათს ქართული ენის დღესასწაულის დაწესება უნდა გავიგოთ, როგორც ქართველი ერის სამარადქამო სვლის მყარი კალაპოტის - ლაზარეს გზის - სიმბოლური გამოსახვა: აწმყოში თავმდაბლობა, მომავალში - გაბრწყინება, “მკვდრეთით” აღდგომა (ქრისტეს “მკვდრეთით აღდგომა”).

14 აპრილი - საქართველოს სახელმწიფო ენის დღე

1978 წლის 14 აპრილს საქართველოს სტუდენტობამ, ზოგადად საქართველოს საზოგადოებამ, საშუალება არ მისცა საბჭოთა ხელისუფლებას, ქართული ენისთვის წაერთმია სახელმწიფო ენის ისედაც დამცრობილი სტატუსი; ამდენად, წესით, 14 აპრილი ოფიციალურად უნდა იყოს ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, დღე.

საქართველოს მთავრობის მიერ 14 აპრილი იწოდება ხან ქართული ენის დღედ, ხან კი - დედაენის დღედ (ლაზარეს აღდგინების დღეს, როგორც ქართული ენის დღეს, კი სათანადო ყურადღება არ ექცევა)¹⁴.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა:

- თუკი 14 აპრილი ქართველთა დედაენის დღედ დამკვიდრდება, საქართველოს ის მოქალაქე, რომელიც თავის ეთნიკურ დედაენად მიიჩნევს: სომხურს, რუსულს, აზერბაიჯანულს, რამდენად იქნება მოტივირებული, რომ 14 აპრილი იზეიმოს?

14 აპრილი თუკი გამოცხადდება ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, დღედ, საქართველოს ყველა მოქალაქე თბილისშიც, ქუთაისშიც, ახალქალაქშიც და თელავშიც ვალდებული და მონარული იქნება, იზეიმოს თავისი სახელმწიფო ენის დღე.

ვფიქრობთ, ყველა საფუძველი გვაქვს, ვთქვათ:

¹³ რასაკვირველია, მიუღებელი “მესიანიზმი” კონკრეტულ აწმყოში ერის (პიროვნების, პარტიის, სახელმწიფოს, რელიგიური დაჯგუფების...) მიერ თავის წარმოდგენა კაცობრიობის მხსნელად; მაგ., რეალურ აწმყოში კაცობრიობის მხსნელის როლში თავის წარმოდგენამ შვა: ფაშიზმი, კომუნიზმი, ანტისაზოგადოებრივი (ე.წ. ფსევდოლიბერალური, ანტიეროვნული) გლობალიზმი, რელიგიური ფანატიზმი.

¹⁴ საკითხის ისტორიისათვის იხ., ტ. ფუტყარაძე, 14 აპრილი - ქართული ენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე? სამეცნიერო-პოპულარული გაზეთი “ქართული!.. №3, 1999 წ.>; იხ. ავრეთვე, აქვე (№1, 1998 წ.): ტ. ფუტყარაძე, სახელმწიფო ენა - ქვეყნის ღირსების საზომი.

I. ბზობის წინა შაბათი - ლაზარეს აღდგინების შაბათი, რომელიც საქართველოს ეკლესიის მიერ აღიარებულია ქართული ენის საზეიმო დღედ, ოფიციალურად უნდა გამოცხადდეს **საქართველოს ეროვნულ დღესასწაულად** - ქართველთა დედაენის - **ქართული ენის** დღედ. ამ დღეს მნიშვნელოვანი იქნება თემა: **ქართული ენა და ქართველი ერი.**

II. 14 აპრილს ოფიციალურად უნდა მიეცეს ის სტატუსი, რომელიც 1978 წლის 14 აპრილის ამბებით თავისთავად განისაზღვრა: **საქართველოს სახელმწიფო ენის** (ქართული სამწიგნობრო ენის) **დღე**. ამ დღეს მნიშვნელოვანი იქნება თემა: **ენა და სახელმწიფო.**

ქართული სამწიგნობრო ენა - ქართველი ერის ურღვევი საძირკველი

ქართველთა დედაენა - ქართული ენა სხვა ენათაგან აშკარად გამორჩეულია ერთი ნიშნით:

მსოფლიოში არ არსებობს სხვა ენა, რომელიც, როგორც საეკლესიო და სამწიგნობრო ენა, უწყვეტად ფუნქციონირებს, სულ მცირე, ბოლო 15 საუკუნის მანძილზე და მისი ფონეტიკა, გრამატიკა და ლექსიკა თვისობრივად არ შეცვლილა... ლოგიკური საფუძვლები არსებობს, ვთქვათ ისიც, რომ არქაული **ქართული სამწიგნობრო ენა და ასომთავრული ანბანი ქრისტეშობამდელ ქართველთა საერთო-ეროვნული შემოქმედებაა**¹⁵.

ერთი რამ კი უეჭველია: საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველ მოღვაწეთა (იოვანე ლაზი, ჰყონდიდლები, იოვანე მინჩხი, გიორგი ათონელი, ექვთიმე ათონელი, იოვანე პეტრიწი, შოთა რუსთაველი...) მიერ ჩამოძვრული ქართული **მართლმადიდებელი ეკლესიის ენა** ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე წარმოადგენს ქართველთა ერთობის **ურღვევ ფუნდამენტს**.

უფლის ნებით, ქართველ ერს ოდითგანვე საცხოვრისად აქვს დედამიწის მშვენიერი, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი მიწა-წყალი - **ამიერკავკასია**; სხვა ხალხები მუდამ ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ, თავადაც დაემკვიდრონ აქ; ამგვარი სურვილი ზშირად გადადის ჩვენდამი მტრობასა და მოშურნეობაში. არაიშვიათად, მომხდური ცდილობს, დაშალოს **ქართველთა ენობრივ-კულტურული ერთობა**, ამ გზით დაასუსტოს ქართველთა ძლიერება და მიიტაცოს საქართველოს ტერიტორია. როგორც წესი, პირველ რიგში **მტერი ცდილობს**, ქართველებს წაგვართვას ან გაგვიუცხოოს **დედაენა და მართლმადიდებლობა**.

ბოლო საუკუნეებში ქართველთათვის ტრადიციული სამწიგნობრო კულტურის გაუცხოების ერთ-ერთ ნაცად გზას წარმოადგენს ქართველთა ენობრივი დანაწევრება: **ცალკეული ქართველური დიალექტების დამოუკიდებელ ენებად გამოცხადება და მათ ბაზაზე ახალი სამწიგნობრო ენების შექმნა**.

რუსეთის იმპერიის მხრიდან ამგვარი ანტიქართული მცდელობები იყო: მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ("ლუშნუ ანბანი", "მეგრული ანბანი") და

¹⁵ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979, გვ. 154-156: ქართული ენა ქართლელ-კახელ-იმერელ-გურულებისა და მეგრელ-სვანებისთვის საერთო ენაა... წარმართობისდროინდელი საერთო შემოქმედება... საკითხის მიმოხილვისათვის იხ., აგრეთვე: ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწ. I (ქრისტიანობამდელი ეპოქა), ქუთაისი, 2005, გვ. 298-386.

XX საუკუნის დასაწყისში (“ყაზახში გაზეთი”). პროცესი გააქტიურდა XX საუკუნის 90-იან წლებში, როცა აშკარა გახდა, რომ საქართველო გავიდა იმპერიული სივრციდან; სწორედ ამ პერიოდში ხელახლა შეიქმნა: მეგრული და ლაზური “დედაენები”... მეგრულ-სვანურ კილოებზე ითარგმნა სახარება, ლოცვანი.

პრობლემა აქტუალურია დღესაც, ვინაიდან ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დაშლისათვის ძალებს არ ზოგავენ მრავალმილიონიანი უცხოური დაფინანსების მქონე ჯგუფები; ვითარებას ართულებს ისიც, რომ ამ ეტაპზე ქართული სამეცნიერო აზრი გაორებულია¹⁶.

ბოლო პერიოდში პრობლემა გაამწვავა **ევროსაბჭოს დოკუმენტების არასწორმა ინტერპრეტაციამ**; კერძოდ:

1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა სტრასბურგში მიიღეს **“ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ”**, ხოლო 1995 წლის 1 თებერვალს აქვე ხელი მოეწერა **“ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ”**. **ქარტია და კონვენცია ითხოვს, რომ ენობრივი უმცირესობის ენაზე მოხდეს სახელმწიფო საქმისწარმოება (შესაბამის რეგიონში), სწავლება ბავა-ბალში, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში**¹⁷.

1999 წელს საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, მიუერთდეს **“ევროპულ ქარტიას რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ”**. ეს ქარტია ითვალისწინებს უმცირესობათა ენებზე სწავლა-განათლებას, სახელმწიფო კანცელარიას, სასამართლო წარმოებას...

“ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ” უფლებას აძლევს ყველა სახელმწიფოს, თავად დაადგინოს უმცირესობათა ენების სტატუსი და ჩამონათვალი; იქვეა რეკომენდაცია: **სახელმწიფო ენის სახესხვაობებს, დიალექტებსა და მიგრანტთა ენებს “უმცირესობათა ენების” სტატუსი არ უნდა მიენიჭოს.**

1999 წლის შემდეგ - **უმცირესობათა ენების შესახებ ევროპულ ქარტიასა და კონვენციაზე საქართველოს ხელისუფლების მიერ ვალდებულების აღების შემდეგ** - ქართულ სამეცნიერო წრეებში დისკუსია დაიწყო კითხვით: **“საქართველოში რომელია მიგრანტთა თუ ენობრივ უმცირესობათა ენა?”**

მაგალითად, გერმანიის მოქალაქე 4-5 მილიონი თურქი გერმანიაში არ მიიჩნევა ეთნიკურ და ენობრივ უმცირესობად, ვინაიდან თურქები ამ ქვეყანაში არ არიან ავტოქტონები; ამ დროს ზოგი ცდილობს, საქართველოში

¹⁶ შდრ.: XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე ქართველი მემათიანნი, საზოგადო მოღვაწენი თუ მეცნიერები არ იყვნენ გაორებული; ზოგი უცხოელისიგან განსხვავებით, ქართველები ადეკვატურად ხედავდნენ ქართველურ ენობრივ სამყაროს და თვლიდნენ, რომ ქართველებს ერთი დედაენა და მრავალი კუთხური დიალექტი გვაქვს.

¹⁷ იხ., მაგ., ქარტიის მე-8 მუხლის I. ე. პუნქტი: სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა “ხელმისაწვდომი გახადოს საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე”; ვრცლად იხ. ტ. ფუტყარაძე, “ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობის ენების შესახებ” და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი, კავკასიოლოგიური სერია, V, თბ., 2009; <http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia>.

უმცირესობათა ენებად გამოაცხადოს: აზერბაიჯანული, სომხური და ა.შ. ჩვენი აზრით, მხოლოდ აფხაზეთში უნდა მიენიჭოს უმცირესობის ენის სტატუსი (შესაბამისად, აფხაზეთში, ქართულთან ერთად, სახელმწიფო ენის სტატუსიც); სხვა არაქართველ და არაავტოქტონ ეთნიკურ ჯგუფთა ენები კი მიგრანტის (დიასპორის) ენის სტატუსით უნდა აღიჭურვოს¹⁸.

დისკუსია გრძელდება **ქართველთა საშინაო მეტყველებების კვალიფიკაციის** შესახებაც:

მეცნიერთა ერთი ნაწილი (მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც) მიიჩვევს, რომ ლაზური, მეგრული და სვანური **არქაული ქართული სამწიგნობრო ენის სახესხვაობანია**, საერთოეროვნული ქართული ენის დიალექტებია; მათი “ენებად” კვალიფიკაცია **რუსეთის იმპერიის** მიერაა თავსმოხვეული.

მეცნიერთა მეორე ჯგუფი სერიოზული არგუმენტაციის გარეშე თვლის, რომ ქართული, მეგრულ-სვანური და სვანური “დამოუკიდებელი ქართველური ენებია”¹⁹. ამ დაუსაბუთებელი თეორიის პროპაგანდით ისინი, ნებისთი თუ უნებლიეთ, საფუძველს ქმნიან, ევროსაბჭოს მოთხოვნების შესაბამისად უნივერსიტეტები თუ სკოლები გაიხსნას ქართველთა კილოების მიხედვით; რატომღაც ისინი არ ითვალისწინებენ, რომ ამ გზით მეგრულ-სვანებს წაერთმევათ ტრადიციული სამწიგნობრო ენა, ტრადიციული სამწიგნობრო კულტურა, შეიზღუდება ქართველთა გამაერთიანებელი სამწიგნობრო ენის გავრცელების არეალი და ფუნქცია, საფუძველი ჩაეყრება ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას და ქართული ეკლესიის დაშლას.

ქართული სამეცნიერო ველის მსგავსად, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის სტატუსის შესახებ გაორებულია ქართული საზოგადოებრივი აზრიც; უცხოელ მეცნიერთა და ექსპერტთა მოსაზრებები კი დღემდე უფრო რუსულ “სამეცნიერო” აზრს ეყრდნობა²⁰.

¹⁸ ვრცლად იხ.: ტ. ფუტყარაძე, “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ” და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი, კავკასიოლოგიური სერია, V, თბ., 2009; <http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia>

¹⁹ ზოგის აზრით, კიდევ უფრო მეტი “ქართველური ენა” გვაქვს: ახალი ქართული, ძველი ქართული, საშუალო ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური, მესხური და ა.შ.

²⁰ საკითხის ისტორიისა და მსჯელობისათვის იხ.: ა. ჯაფარიძე, ქართული საეკლესიო ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი), თბ., 2002; ტ. ფუტყარაძე, ქართველები, თბ., 2005; მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005; მ. ნაჭყებია, მეგრულისა და ლაზურის ურთიერთიმპარტების საკითხისათვის, ქართველოლოგიური კრებული, IV, თბ., 2005; თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006; რ. შეროზია, ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას “სიტყვის კონის” ზოგი საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, 2007; რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიულთა მენტალობის ისტორიიდან (სვანეთი), თბ., 2008; რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008; თ. ბერაძე, ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები, ეთნოლოგიური კრებული, თბ., 2008; მ. ლორთქიფანიძე, ყოველი ქართველი წირვა-ლოცვას მუდამ ქართულად ასრულებდა, ახლა კი მეგრულად და სვანურად უნდა ვილოცოთ? “ჯორჯიან ტაიმსი”, 19-25 დეკემბერი, 2005; ნ. ბართაია, იქნებ განშტოება სჯობდეს, “მწერლის გაზეთი”, 01.06.2007; გ. კუჭუხიძე, ქართულ სიტყვათა შემნახველნი, “მწერლის გაზეთი”, 2007, 16-31 დეკემბერი; თ. ბერაძე, ბ.ზორავა, ქართული სალიტერატურო ენა და ქართული კულტურა - საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული მხარის შემოქმედების ნაყოფი, ქართველური მემკვიდრეობა, XII, ქუთაისი, 2008; ა. გამზარდია, მეგრულ-სვანური ესკიზები ანუ ცოტა რამ ორი დედა ენის თეორიის შესახებ, ჟურნ. “ლიტერატურა და ხელოვნება”, XII, 2009; რ. გუჯეჯიანი, ბ. ზორავა, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან (“ერთობილი საქართველოსთვის”), ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2009; რ. კაშია, დ. შავიანიძე, ეთნიკურ-ეთნოგრაფიული ტერმინები და ქართული ისტორიული სინამდვილე; ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2009...

შესაბამისად, დღეს რეალური **საშიშროებაა**, რომ ქართველთა ერთ ნაწილს ნებისით თუ უნებურად წაერთვას, სულ მცირე, 15-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია - დიდი კულტურული წარსული და მოხდეს ჩვენი ერის დანაწევრება.

ამ ფონზე არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პოზიციას.

უფლის რჩეული

საქართველოს ისტორიის ყველა ეტაპზე **უფალი წარმოაჩენს ხსნის გზას და პიროვნებებს**, ვინც აქტიურად წინ აღუდგება ხოლმე ქართველთა ენობრივ-კულტურულ-ტერიტორიული **დაშლის მოსურნეთ**; ბოლო საუკუნეებში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის წარმატებით იბრძოდნენ: წმიდა ილია მართალი, წმიდა ამბროსი აღმსარებელი, ლევან დადეშქელიანი, დეკანოზი იოვანე მარგიანი, თედო სახოკია, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები...

დღეს საქართველო ცდილობს საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას; ამ ბრძოლაში წარმატება მიიღწევა მხოლოდ ქართველთა სულიერი და ენობრივ-კულტურული ერთიანობის პირობებში; **სრული პასუხისმგებლობით შემოიძლია ვთქვა:**

XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს **სულიერი და ენობრივი მთლიანობისთვის ბრძოლას** წარმართავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მისი ღვაწლი **თანამედროვე გამოხატულებაა** ისტორიული ფაქტისა: “ჩვენი სამოციქულო ეკლესია ამთლიანებდა და აღუღებებდა ქართველ ერს... ეკლესია არის სულიერი ძალა და საყრდენი ჩვენი ქვეყნისა”.²¹

ზემოთქმულის ნათელსაყოფად მოკლედ წარმოვადგენთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ეპისტოლეებში, ქადაგებებსა და სხვადასხვა სიტყვაში წარმოჩენილ **ენობრივ და საგანმანათლებლო კონცეფციებს**; ამ მიმართულებით პატრიარქის მიერ დანახულ თანამედროვე საფრთხეებს, ამ საფრთხეების თავიდან აცილების გზებს და პატრიარქის მიერ განხორციელებულ მრავალ საქმეთაგან რამდენიმეს.

პირველ რიგში იმის შესახებ, თუ რაოდენ ღრმად ჩასწვდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **სამეცნიერო დისკუსიას** და რა სიბრძნით გადმოსცა მან თავისი თვალსაზრისი.

“იქნებ ვთქვათ ასე:

ქართული ენა თავისი განშტოებებით“

2007 წლის 13 მაისის საკვირაო ქადაგებაში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა:

“...მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ თავიდანვე განსხვავებული იყო ქართული ენისგან მეგრულ-სვანური და ასე პარალელურად ვითარდებოდა. მე ვკითხვ მათ: ერთი ხელნაწერი მაინც თუ არსებობს მეგრულად ან სვანურად დაწერილი? **ცხადია, არ არსებობს.** მათ სხვა მეცნიერები უმტკიცებენ, რომ

²¹ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სიტყვა სვეტიცხოველში 1999 წლის 25 ოქტომბერს; საპატრიარქოს უწყებანი, №43, 30 ოქტომბერი - 5 ნოემბერი, 1999 წ.

არსებობს ერთი ქართული ენა და შემდგომში მისგან წარმოიშვა განსხვავებული დიალექტები.

მე მეცნიერებს შევთავაზებ, იქნებ ვთქვათ ასე - **ქართული ენა თავისი განშტოებებით**. მსგავსად იმისა, როგორც შტო ამოიყვანა ხეს, - ასეა დიალექტებიც, მაგრამ მათი საერთო ძირი და ფუძე არის ქართული ენა. უძველესი დროიდან არც ერთ მეგრელს ან სვანს თავში აზრად არ მოსვლია, რომ **თავისი დიალექტისთვის** ცალკე დამწერლობა შეექმნა, რადგან თავს მუდამ ქართველად მოიაზრებდა და **მისი მშობლიური ენა ქართული იყო**. განა დღეს რამე შეიცვალა?..²²

შემოქმედი, მოყვასი, მამული და ენა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აზრით, ადამიანს გამო-რჩეულად ოთხი რამ უნდა უყვარდეს: **შემოქმედი, მოყვასი, მამული და ენა**; კერძოდ, დიდსა მოწამეს, წმიდა გიორგის უწმინდესი მოკრძალებით მიმართავს:

“დიდმოწამეო გიორგი, განგვინათლე გონება, რომ ვცნათ უფალი, ვითარცა გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე; აღგვავესე ღვთაებრივი სიბრძნითა, რათა ყოვლითა არსებითა შევიყვაროთ: **შემოქმედი, მოყვასი, მამული და ენა**...“²³

უწმიდესი და უნეტარესი **ილია მეორე** საშვილთაშვილო ჭეშმარიტებად სახავეს წმიდა ილია მართალის ცნობილ ტრიადას და, ამავე დროს, ახალი, გაცილებით მძლავრი გლობალიზმის ეპოქაში, **ამ მრწამსს ქართველი ადამიანის სული** გადარჩენისაკენ მიმავალ ერთადერთ გზად აცხადებს:

“ჩვენს ეროვნულ არსს, ჩვენს ეროვნულ მთლიანობას, როგორც ბრძანებს წმიდა ილია მართალი, სამი მძლავრი ფესვი ასაზრდოებს: **საკუთარი მიწა, ქრისტიანობა და ენა ქართული**... მათ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან თუ ქართველთა შორის დაიკარგა გრძნობა და განცდა ამ **ჭეშმარიტებისა**, ვერასოდეს მივაგნებთ იმ ერთადერთ **გადამრჩენელ ბილიკს**, რომელსაც ჩვენი **სული** დაეძებს...“ (1990)²⁴

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ეპისტოლეებში, ქადაგებებსა და სიტყვებში საკუთრივ ქრისტიანული სწავლების გვერდით დიდ ადგილს იჭერს ცნებები: **სახელმწიფო, დედასამშობლო, ერი, ეროვნული სული და დედაენა**.

პირადად **მე ღირსებით აღვივსე**, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩვენი პატრიარქი საბჭოთა იმპერიის დროს ხაზგასმით მიჯნავდა **დედასამშობლოსა** და **სახელმწიფოს**, ხოლო ავტოკეფალიისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ **ეს ცნებები** მისთვის სინონიმური გახდა; შდრ.:

საბჭოთა პერიოდის ეპისტოლეების დასაწყისი:

- “სააღდგომო ეპისტოლე: საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ყველა ღვთივკუთხეულ შვილს, მცხოვრებს **დედასამშობლოში** და მის საზღვრებს გარეთ“ (1980)...²⁵

²² 2007 წლის 13 მაისის საკვირაო ქადაგება წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში; საპატრიარქოს უწყებანი, №16 (416), 17-23 მაისი, 2007 წ.

²³ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 8.

²⁴ იქვე, გვ. 111

²⁵ იქვე, გვ. 181

- “მოსკოვის კონფერენციის შემდეგ მსოფლიო მოწმე გახდა ჩვენი **სახელმწიფოს** მიერ აღებული სამშვიდობო ინიციატივისა“ (1983)²⁶...

შდრ. დამოუკიდებლობის პერიოდის სააღდგომო და საშობაო ეპისტოლეების დასაწყისი:

- “სააღდგომო ეპისტოლე ყოველთა ქართველთა, **მკვიდრთა საქართველოსა და სამშობლოს საზღვრებს** გარეთ მცხოვრებთა“ (1990)²⁷...

- “ქრისტესმიერ საყვარელნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, დიდად **პატივცემულნო** ხელისუფალნო, მართლმორწმუნენო, **მკვიდრნო საქართველოსა და სამშობლოს საზღვრებს** გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, სიყვარული და სიხარული განგმრავლებოდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!“²⁸

- “ქრისტესმიერ საყვარელნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, **პატივცემულნო** ხელისუფალნო, მართლმორწმუნენო, **მკვიდრნო საქართველოსა და სამშობლოს საზღვრებს** გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, სიყვარული და სიხარული განგმრავლებოდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!“²⁹

- “უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის საშობაო ეპისტოლე **ღვთიკურთხეულ ქართველ ერს და ყოველთა მკვიდრთა საქართველოსთა**³⁰... ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო საერო დასნო, **მკვიდრნო საქართველოსა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს** გარეთ მცხოვრებნო, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!“³¹

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პატრიარქის თითქმის ყოველი ეპისტოლე, ქადაგება, სიტყვა, ლოცვა მოიცავს ერთ აზრს: უფალმა (წმიდა სამება) დალოცოს და გაამთლიანოს ქართველი ერი, სრულიად საქართველო³²...

ხაზგასასმელია ისიც, რომ პატრიარქი ყოველთვის განსაკუთრებული სიტყვებით ამკობს ქართველ ერს, რაც ვლინდება **ერის ცნების** მსაზღვრელის შერჩევისა და ქართველების დახასიათებისას; შდრ.:

- “ჩვენ ვულოცავთ **ჩვენს სიცოცხლისუნარიან ერს** შობას“... “ჩვენი **კაცთმოყვარე** ერი...“ (1981)³³

²⁶ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 210

²⁷ იქვე, გვ. 110

²⁸ საპატრიარქოს უწყებანი, №2, 10 იანვარი, 2006

²⁹ საპატრიარქოს უწყებანი, №2, 10 იანვარი, 2007

³⁰ არაიშვიათად, საქართველოს ნაცვლად ივერიას იყენებს: „ივერიის წმიდა მიწის ღვთიკურთხეულ შვილებს“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 281)

³¹ საპატრიარქოს უწყებანი, №1, 10-16 იანვარი, 2008

³² იხ., მაგ.: უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე (19.01.1999); საპატრიარქოს უწყებანი №3, 22-28 იანვარი, 1999

³³ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 189

“ქართველ ერს დღემდე შერჩა ცხოვრების ორომტრიალისგან გამობრძმედილი მრავალმხრივი **შინაგანი ენერგია**“ (1977)³⁴

- “ჩვენი ერი **ზღაპრული ძალითა და ენერგიით** ებრძოდა მუდამ მტერთა ურდოებს“...³⁵

- “პირველ ყოვლისა, ჩვენს ხალხს სწყუროდა არა მხოლოდ თავის გადარჩენა, არამედ გადარჩენა იმ **დიდი მადლისა**, რომელიც ქრისტეს წმიდა კვართს, მოციქულთა აქ მობრძანებას და ღვთისმშობლის მიერ ქალწული ნინოსთვის ბოძებულ ვაზის ჯვარს შემოჰყვა ჩვენში“...³⁶

- “ჩვენი ერი **ჯვარცმული ერია**; ეს არის ქვეყანა, რომელიც აერთებს ევროპასა და აზიას... ბევრს სურდა ჩვენი დაპყრობა, ჩვენი მოსპობა, მაგრამ მტერმა ვერ წაგვართვა: ქრისტიანულ ნიადაგზე აღზრდილი ჩვენი სული და **ჩვენი ქართული ენა**“ (1981)³⁷... საქართველო სულ ბრძოლაში იყო; ამ ბრძოლაში შევინარჩუნეთ ჩვენი რწმენა, ჩვენი მიწა (თუმცა მთლიანად ვერა) და **ჩვენი საყვარელი ენა** - ის შინაგანი ენერგია, რომლითაც შემოქმედმა დაგვაჯილდოვა...“³⁸

ქართული იდეა და ქართული ენა
“**ზეგროვნული**“ მოძრაობებისა და “**გლობალური ქსელის**“ საუქუნეში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე ხშირად საუბრობს **ეროვნული სულის** შესახებ. მისი ნააზრევიდან აშკარაა, რომ ქართველთა **ეროვნული სულის საფუძველია ქართველთა დედაენა - ქართული ენა**. პატრიარქი საოცრად შთამბეჭდავად აკავშირებს ქართულ ეროვნულ სულსა და ქრისტიანობას:

“**ჩვენმა ეროვნულმა სულმა** ქრისტიანობის მიღების შემდეგ ისე შეიყვარა მხოლოდმობილი ძე ღვთისა, რომ დაუნანებლად ვსწირავდით თავს ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის გადასარჩენად“³⁹... “ჩვენ შევინარჩუნეთ ქრისტიანობა საქართველოში, და მისით შევინარჩუნეთ თვითმყოფადობა და **ეროვნული ჩვენი სიცოცხლე**“ (1981)⁴⁰.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს **ქართული ენა** მიაჩნია ქართველი ერის **მთავარ სასიცოცხლო ძალად**:

“საქართველოს ყოველთვის ჰქონდა უდიდესი შინაგანი ძალა, თავისი მოწამეების, განმანათლებლების, პოეტების, მხატვრებისა და თავისი უშიშარი და თავისუფლებისმოყვარე ხალხის სახით. **ერთი მთავარი წყაროთაგანი, საიდანაც ქართველები იღებდნენ თავიანთ სულიერ ძალებს - ესაა**

³⁴ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი II, თბ., 1998, გვ. 5

³⁵ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 189

³⁶ იქვე, გვ. 189

³⁷ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1998, გვ. 26

³⁸ იქვე, გვ. 66

³⁹ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 189

⁴⁰ იქვე, გვ. 189

უძველესი და მაღლიანი ქართული ენა, რომელზეც საოცრად მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა, ესაა **ენა**, რომლის შესახებ ღირსმა მამამ თქვა: **“ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს”** (1982)⁴¹...

“ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, რომ **აღსდგება ქართული ენა**, გაბრწყინდება საქართველო და ამ ენაზე განიკითხება ყველა”⁴².

პატრიარქი ყველას გვმოდგვრავს: სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის მეცადინეობა ყოველი ჩვენგანის ვალია, რათა “ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის. წმიდით საყდარით, ენით მდიდარით, სწავლისა შუქით განათებული!”⁴³... ეს, პირველ ყოვლისა, ეხება **ქართულ ენას** (1982)...⁴⁴

უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში **უაღრესად შთამბეჭდავია**, აგრეთვე, **ქართული იდეისა და ქართული ენის** მიმართება:

არაერთ სიტყვასა და ქადაგებაში კათოლიკოს-პატრიარქი საუბრობს **ქართული იდეის** შესახებ; **კერძოდ**, მისი აზრით, არსებობს გამოკვეთილი **ქართული იდეა**, რომელსაც **ორი უმთავრესი სვეტი** აქვს (**ორი სვეტის** სინონიმად სხვაგან გამოყენებულია: **ორი საუნჯე, ორი ძალა...**):

“ყოველი ერი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ერთი გარკვეული იდეის განხორციელებას ემსახურება... **ქართული იდეა** ისტორიის მანძილზეც და მომავალშიც **სიყვარულის სამსახურია!** სწორედ **სიყვარულის სამსახურმა გადაარჩინა ჩვენი ერი და ქვეყანა**”⁴⁵

ქართული იდეის უმთავრესი სვეტებია (საუნჯენია):

- სულიერი ღირებულებები, რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს;

- ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა. **ეროვნულ-კულტურულ ფასეულობებს შორის უპირველესია ქართული ენა...**

შდრ.: უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის 1999 წლის 25 ივლისის საკვირაო ქადაგება⁴⁶:

ქართველი ადამიანის საუნჯენი:

I. უკვდავი სული;

II. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი სამშობლო, სადაც არის: წმიდა ილია წინასწარმეტყველის ხალენი (რომელიც წმიდა ილიამ თავის მოწაფეს - ელისეს - დაუტოვა), კვართი უფლისა, პერანგი ღვთისმშობლისა,

⁴¹ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 200

⁴² სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგება ლაზარეს შაბათს (1999 წლის 21 მარტს/3 აპრილს); საპატრიარქოს უწყებანი, №14, 9-15 აპრილი, 1999 წ.

⁴³ იმოწმებს გრიგოლ ორბელიანს

⁴⁴ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 341

⁴⁵ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი II, თბ., 1998, გვ. 97

⁴⁶ საპატრიარქოს უწყებანი, №30, 31 ივლისი - 6 აგვისტო, 1999 წ.

ლურსმანი მაცხოვრისა, საფლავნი მოციქულთა და მოციქულთა სწორისა წმიდა ნინოსი და სხვა სიწმიდენი; გარდა ამისა, ჩვენი მიწა გაპოზიერებულია მამულისა და ქრისტესთვის ასიათასობით წამებულის სისხლით...

III. ქართული ენა; ამ ენით განიკითხება მთელი მსოფლიო. ეს არ არის გადამეტება: ამ სიტყვებში დიდი საიდუმლოა;

IV. ჩვენი საუნჯენია აგრეთვე: ტაძრები, მონასტრები და ხატები...

2005 წლის 13 ნოემბერს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში, ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს საკვირაო ქადაგების დროს პატრიარქმა ასე წარმოადგინა თავისი ხედვა:

“დღეს ძალიან რთული დროა: **ე.წ. გლობალიზაციის პერიოდი**. გლობალიზაცია - ეს არის კულტურათა დაახლოება, ეს არის ცივილიზაციათა დიალოგი და დაახლოება. მაგრამ ამ დაახლოების დროს ჩვენ არავითარ შემთხვევაში **არ უნდა დავკარგოთ ჩვენი ეროვნული საუნჯე**. ჩვენი უდიდესი და უპირველესი საუნჯე - ეს არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, ეს არის **ჩვენი ქართული ენა**, ეს არის ჩვენი კულტურა, ეს არის ჩვენი ხელოვნება, ეს არის ჩვენი მუსიკა, ეს არის ჩვენი საგალობლები, ეს არის ჩვენი ხატუწერა, ეს არის ჩვენი მინანქარი - ეს არის ყველაფერი ის, რაც შეუქმნია ჩვენს წინაპრებს⁴⁷.

ასევე არ უნდა დავკარგოთ ჩვენი **სულიერი საუნჯე — ჩვენი რწმენა**, ჩვენი სიყვარული, ჩვენი თანაგრძობის ნიჭი. ქართველი ადამიანი მუდამ თანაუგრძობს გაჭირვებულ ადამიანს. **ეს საუნჯენი უნდა შევინარჩუნოთ და ეს გადაარჩენს საქართველოს!**“

ყოვლადწმიდა სამების ტაძარში 2006 წლის 5 თებერვლის საკვირაო ქადაგებაში კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა:

“ჩვენი გადარჩენა, **ქართული იდეა** - ეს არის დაცვა სულიერებისა, დაცვა რწმენისა... უნდა შევინარჩუნოთ და გავუფრთხილდეთ ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს, ჩვენს ტრადიციებს. და **ეს ორი ძალა: სულიერება - ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება და ჩვენი ეროვნული ფასეულობა** გადაარჩენს საქართველოს. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ მათ, მით უმეტეს ახლა, როცა უცხო კულტურა და ფსევდოკულტურა ძალიან აქტიურად შემოდის ჩვენს ქვეყანაში... უნდა გვქონდეს სწორი ხედვა“.

ქართულმა იდეამ რომ ხორცი შეისხას და განვითარდეს, პატრიარქის სწავლების მიხედვით, საჭიროა გაერთიანდეს: სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ეკლესიის ძალისხმევანი⁴⁸. ეს ერთიანი ძალა, პირველ რიგში, მიმართულ უნდა იქნას ქართველთა დედაენის **დასაცავად, ვინაიდან ქართული ენა და ქართველი ერი, ქართული ენა და ქართული ლოცვა, ქართული ენა და ქართული ეკლესია ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია**⁴⁹; აქ პატრიარქის

⁴⁷ “**ქართული გალობა** ისეთივე საუნჯეა ჩვენთვის, როგორც ჩვენი ენა, მწერლობა, პოეზია, ლიტერატურა...” - უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვა **გალობის საღამოს**, 2003 წლის 4 მაისს; საპატრიარქოს უწყებანი, №18, 9-15 მაისი, 2003 წ. შდრ., აგრეთვე: “**ქართული გალობა** სასწაულთმოქმედი ძალაა... ქართულ საეკლესიო საგალობლებსა და ხალხურ სიმღერებს ერთი ფუძე და ერთი სული აქვს“; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგება მარიამობის დღესასწაულზე, სიონის საპატრიარქო ტაძარში 2005 წლის 28 აგვისტოს; საპატრიარქოს უწყებანი, №30, 8-14 სექტემბერი, 2005

⁴⁸ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე (2006 წ.)

⁴⁹ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1998, გვ. 21; იხ. აგრეთვე: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტო-ლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1998, გვ. 29-36

მხოლოდ ერთ ფრაზას დავიმოწმებ: **“ქართველი ერი, უძველესი ქართული ენა სათავეს პრეისტორიული ხანიდან იღებს”**.⁵⁰

უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის აზრით, “ჩვენი ენა შეიძლება შევადაროთ სინათლეს, რომელიც თავის თავში მოიცავს ცისარტყელას ფერებს. ეს ფერები მსგავსია **ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის სამეტყველო ენისა**: ხევსურულისა და სვანურის, მეგრულისა და თუშურის, გურულისა და ინგილოურის, მესხურისა და რაჭულის, კლარჯულისა და მოხეურის, იმერულისა და მთიულურის, რომელნიც **შენაკადების მსგავსად ქმნიან ერთიანი ქართული ენის სიმდიდრეს**, რომლითაც უძველესი დროიდან ჩვენს მიწა-წყალზე “უამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების”...⁵¹

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ვრცლად საუბრობს **ქართველური ანბანის** შესახებაც; მისი აზრით, “ქართული ენის დამწერლობა შეიქმნა ჯერ კიდევ ქრისტეს ხორციელად შობამდე III საუკუნეში... ქართველი ერი და ქართული ენა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში“ (1981)⁵² არაიშვიათად, პატრიარქი წუხს, რომ ასომთავრულსა და ნუსხა-ხუცურს დღეს ბევრი ქართველი ვეღარ კითხულობს და ამის გამო ვერ წვდება **ღვთიური მადლით გასხივოსნებულ საღვთისმეტყველო ბუნებას**, ყრუ კედლით მიჯნავს თავის წარსულსა და მომავალს:

მადლობა უფალს, ჩვენს კურთხეულ მიწა-წყალზე **წინაპართა ნაკვალევი** სანთლით საძებარი არა გვაქვს. მიწიერი საქართველოს მთა-ბარიდან 15 ათასზე მეტი ისტორიული ძეგლი შეღადადებს ზეციერ საქართველოს! ქართველი კაცი სადაც ბარს დაჰკრავს, დღის სინათლეზე გარდასული დიდების **უტყვი მოწმენი ამობრწყინდებიან**. ყოველი მათგანის მდიდარ ისტორიას მხოლოდ ძუნწი წარწერა გვამცნობს. დგას ქართველი კაცი დიდებული ქართული ტაძრის წინაშე და რაოდენ **სავალალოა, რომ მასზე ამოტიფრულ წარწერას ვერ კითხულობს**. სამწუხაროა, რომ დღეს **ქართველური ანბანი** (ასომთავრული და ნუსხა-ხუცური) მხოლოდ ენათმეცნიერების საქმედ იქცა.

გვახსოვდეს, ასომთავრული და ნუსხა-ხუცური დამწერლობის ხმარებიდან განდევნით ჩვენივე ნებით ვაშენებთ ყრუ კედელს წარსულსა და მომავალს შორის. თანამედროვე ქართველი კაცისათვის თანდათან უცხო და გაუგებარი ხდება უძველესი ქართული გამოცემები, თუმცა ისინი იმავე ღვთიური მადლით გასხივოსნებული, დინჯი და დარბაისლური ქართულით გვიამბობენ ერის გარდასული ცხოვრების ჭირსა და დალხინებას...⁵³

⁵⁰ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2007 წლის სააღდგომო ეპისტოლე; საპატრიარქოს უწყებანი, №11, 12-18 აპრილი, 2007; იხ. აგრეთვე: ილია II: “ქართული ენა - მსოფლიო საოცრებაა! ის არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდმოსული სულიერი მუსიკა! ივია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი”; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგება ლაზარეს აღდგინების შაბათს (სიონის საპატრიარქო ტაძარი, 3 აპრილი, 2004 წ.); საპატრიარქოს უწყებანი, №13, 8-13 აპრილი, 2004

⁵¹ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის 2006 წლის სააღდგომო ეპისტოლე

⁵² საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1998, გვ. 21-36;

⁵³ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 342; იხ. აქვე: ჯერ კიდევ X საუკუნეში ჩვენს დიდ წინაპრებს მთელი სიღრმით შეუცვნიათ მშობლიური ენის საღვთისმეტყველო ბუნება და რელიგიური ძალისხმევა: “დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა”. ღვთის შთაგონებით ასეთი განუზო-მელი მისია დააკისრეს ქართულ ენას ქრისტიანობის შესანიშნავმა აპოლოგეტებმა, რაიც ავალებს ყოველ ქართველს, უძველეს ანბანთა - ასომთავრულისა და ნუსხა-ხუცურის ცოდნას

ილია მეორე:

“ვთხოვ ქართველ მორწმუნეთ, გამოიჩინონ სიბეჯითე და გულმოდგინება, შეისწავლონ **ასომთავრული და ხუცური დამწერლობა**. არ მოშალონ ხიდი — აკვედუკი, გადებული სახელოვან წარსულსა და ბედნიერ მომავალს შორის, როგორც ერთადერთი გზა, რომლითაც მოადწია **ჩვენამდე ენამ**, რწმენამ და ქართველი კაცის გენიამ. ძველქართული დამწერლობის ცოდნა ყოველი ქართველისთვის ვალია. იგი ფარად და მანვილად ეპყრა მოციქულთა სწორ წმიდა ნინოს, რომელმაც ქართველი ერი საბოლოოდ აზიარა ქრისტეს რწმენას. **ძველქართულ ენაზე მეტყველებდნენ ქართველი წმიდანები**; ღირსნი მამანი და დედანი, რომელთა ღვაწლი განუზომელია ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოსთვის, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის ნათელყოფაში“.⁵⁴

თანამედროვე საფრთხეები და ორიენტირები

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ნათლად ხედავს საქართველოს თანამედროვე საფრთხეებს, მათ წარმომავლობას და გვისახავს პრევენციის გზებსაც. წარმოდგენილ მონაკვეთში მხოლოდ იმ პრობლემებს შევხვებით, რომლებიც უკავშირდება **ქართველთა ენობრივი ისტორიის ცოდნას, ზოგადად, აკადემიური ცოდნის შექენის საჭიროებას**.

I. “მოყვრად“ მოსული მტერი

ილია II: “...1811 წელს რუსეთის იმპერატორის **არაკანონიერი ბრძანებით** საქართველოდან გაწვეულ იქნა კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II, ერეკლე მეორის ძე და ძმა გიორგისა, ჩვენი უკანასკნელი მეფისა და აღარც ღირსებია ჩამოსვლა საქართველოში. და აი, იმ დროიდან, 1811 წლიდან, იწყება განსაცდელი საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი ერისა. იმპერატორის ბრძანებით, საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა ეგზარქოსი. პირველი ეგზარქოსი, მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავიც მალე რუსეთში გაიწვიეს და ამის შემდეგ ყოველი ეგზარქოსი, თანახმად რუსეთის იმპერატორის ბრძანებისა, რუსი უნდა ყოფილიყო. **აიკრძალა სიონში ქართული წირვა-ლოცვა**. თბილისის სასულიერო სემინარიებში ლექციები იკითხებოდა რუსულ ენაზე, წელიწადში მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ უფლება ქართველ სტუდენტებს წირვა ქართულად ჩატარებინათ. ასე გრძელდებოდა 1917 წლამდე“.⁵⁵

ილია II: “როცა ჩვენმა სამშობლომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საქართველოს ეკლესიას თავი მოჰკვეთეს და დაუმორჩილეს რუსეთის ეკლესიის სინოდს“⁵⁶... “ეგზარქოსები ეკლესიაში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას ცდილობდნენ. **სიონში, სვეტიცხოველსა და სხვა ტაძრებში წირვა-ლოცვა სლავურ ენაზე მიმდინარეობდა**; თბილისის

⁵⁴ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 343

⁵⁵ იქვე, გვ. 84

⁵⁶ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის საკვირაო ქადაგება, 2003 წ. 20 ივლისის (2 აგვისტოს) ქადაგება; საპატრიარქოს უწყებანი, №30, 1-7 აგვისტო, 2003 წ.

სასულიერო სემინარიაში ლექციებს რუსულად კითხულობდნენ, ზედიზედ უქმდებოდა ეპარქიები, მონასტრები და ტაძრები...“⁵⁷

უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ასე თვალნათლივ ბევრჯერ წარმოაჩინეს “მოყვრულად მოსული მტრის“ ნამდვილ სახეს. საინტერესოა ისიც, რომ რუსეთის იმპერიული გეგმების შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აფხაზებსაც აფრთხილებს; მაგ., 1993 წლის ერთ-ერთ ქადაგებაში ის ბრძანებს:

“ჩვენ პატივს მივაგებთ იმ აფხაზ ახალგაზრდებსაც, რომელნიც თითქოს სამშობლოს თვითმყოფადობისათვის ბრძოლის რწმენით დაეცნენ, სინამდვილეში კი გარეშე ძალების ბოროტი ზრახვების მსხვერპლნი გახდნენ...“⁵⁸

II. “ღმერთი აერთიანებს, ხოლო ეშმაკი ჰყოფს“:

ენობრივ-ეკლესიური დაყოფა, რომელსაც ე.წ. ფედერაციისა და კონფედერაციის გზით მოჰყვება საქართველოს დაშლა

“მტერი მუდამ ცდილობდა, გაეყო ჩვენი ხალხი, დაენაწევრებინა ჩვენი მიწა-წყალი“⁵⁹. მომხდურის ფიზიკურ აგრესიაზე უფრო საშიშია ცნობიერი დივერსია: ერთიანი საზოგადოების დაყოფა-დაპირისპირება ამა თუ იმ ნიშნით. ამ თვალსაზრისით XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს წინაშე არსებული საფრთხე ორგვარია: ეკლესიის გახლეჩა და დედაენის დაშლა ცალკეულ ერთეულებად:

ა. ეკლესიის გახლეჩის მცდელობა

ილია II: ...“უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ გავუფრთხილდეთ ჩვენს ეკლესიას. მინდა იცოდეთ, რომ დღესაც არიან ადამიანები, რომელნიც ებრძვიან ეკლესიას და ამით ებრძვიან ქართველ ერს, დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც გეგმავენ საქართველოს ეკლესიის გახლეჩას და ღმერთმა არ მოასწროს ისინი ამ დღეს. ქართველი ერი ამას არასოდეს დაუშვებს. ქართველ ერს ესმის, რა არის მისთვის საქართველოს ეკლესია“⁶⁰.

⁵⁷ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 94

⁵⁸ იქვე, გვ. 144

⁵⁹ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის საკვირაო ქადაგება, 2006 წ. 9 ივლისის ქადაგება; საპატრიარქოს უწყებანი, №27, 13-19 ივლისი, 2006 წ.; შტრ., აგრეთვე: “საუკუნეების მანძილზე გარეშე ძალა ყოველთვის ცდილობდა ქვეყნის დაყოფას და კუთხურობის ნიშნით დაპირისპირების შექმნას. დღესაც თბილისსა და აჭარას შორის წარმოქმნილი პოლიტიკური დაპირისპირება გარკვეულმა პირებმა სცადეს, წარმოეჩინათ, როგორც დაპირისპირება საქართველოს კუთხეებს შორის. ამ პროვოკაციას ჩვენმა ხალხმა, მათ შორის აჭარის მოსახლეობამ, საკადრისი პასუხი გასცა, - ჩვენ ვართ ერთი ერი, ერთი სახელმწიფო, გვაქვს ერთი კულტურა და ერთი ისტორია. ჩვენი განუყოფელი ნაწილია აფხაზეთიც და სამაჩაბლოც“. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის 2004 წლის სააღდგომო ეპისტოლე; საპატრიარქოს უწყებანი, №14, 22-28 აპრილი, 2004 წ.

⁶⁰ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის სიტყვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე; საპატრიარქოს რეზიდენცია, 24 მარტი, 2006 წ.

ბ. ენობრივად დაყოფის მცდელობა

2006 წლის 19 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიმართა **სვანეთისადმი მიძღვნილი კონფერენციის** მონაწილეებს. მან ბრძანა:

“კარგად მოგეხსენებათ, რომ, სამწუხაროდ, არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც **სურთ გააჩვენონ ქართველი ერი და აქვთ სურვილი, წარმოაჩინონ სვანეთი და სვანური დიალექტი, როგორც ქართველი ერისაგან დამოუკიდებელი, განსხვავებული კულტურა.** ეს ასევე შეეხება სამეგრელოს და სხვა კუთხეებსაც. ჩვენ კარგად ვიცით, საიდან მომდინარეობს ეს. ეს ჯერ კიდევ 200 წლის წინ დაიწყო, როცა **რუსეთი ცდილობდა, გაეყო ქართველი ერი.** ვფიქრობ, რომ ის ადამიანი, რომელიც ცდილობს წარმოადგინოს სვანური კულტურა, როგორც დამოუკიდებელი ქართული კულტურისაგან, - არის **მტერი არა მარტო სვანებისა,** არამედ მთელი ქართველი ერისა“⁶¹.

ქართველთა ენობრივ-კულტურული დაყოფის მცდელობას უწმიდესი და უნეტარესი შეეხო 2007 წლის 13 მაისის საკვირაო ქადაგებაშიც, სადაც უწმიდესმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ **მეგრული, ლაზური და სვანური დიალექტები ქართული ენის განშტოებებია და არა დამოუკიდებელი ენები:**

“დღესაც ცდილობენ, ქართველთა ეს დიალექტები დამოუკიდებელ ენებად გამოაცხადონ; მეტიც, სურთ, მათ მიხედვით შეიქმნას სამწიგნობრიო ენები: ბიბლია და ლოცვები თარგმნონ მეგრულად და სვანურად... **ეს არის უდიდესი დანაშაული ერის წინაშე!**.. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ჩვენ ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ. **ამას აკეთებს მტერი:** ღმერთი აერთიანებს, ხოლო **ემშაკი ჰყოფს,** ამიტომ ჩვენ ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ და სხვასაც დაეფიქროთ, რომ ქართული ენა არის ერთი, მეგრული და სვანური დიალექტები კი მისგან გამომდინარე განშტოებებია. განსაკუთრებით უნდა მოუფრთხილდეთ ჩვენს სიამაყეს - უძველეს და მშვენიერ ქართულ ენას.“⁶²

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის **ილია მეორის მიერ** ენობრივ-კულტურული დაქუცმაცების მცდელობა ასევე მკაცრად შეფასებული ლაქერნის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში წარმოთქმულ საკვირაო ქადაგებაში (ზუგდიდი, 2007)⁶³:

“ზოგი, ვინც არის მტრულად განწყობილი საქართველოს მიმართ, ცდილობს, რომ როგორღაც დაეყო ჩვენი სამშობლო. ცდილობენ, უნდობლობა, ბზარი შეიტანონ ქართველებს შორის, მაგრამ მათ არაფერი გამოუვათ. იმდენად არასწორი მიდგომა აქვს ზოგიერთს, რომ ფიქრობს, რაღაც “საკუთარი მწერლობა“ ჰქონდესო სამეგრელოს. ჩვენს წინ დიდი ადამიანები იყვნენ: იოვანე

⁶¹ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მისალმება სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებისადმი, საპატრიარქო რეზიდენცია, 19 ივნისი 2006 წელი (სრული ტექსტისათვის იხ. დანართი №3)

⁶² 2007 წლის 13 მაისის საკვირაო ქადაგება სამების საპატრიარქო ტაძარში; “საპატრიარქო უწყებანი“, №16 (416), 17-23 მაისი, 2007 წ.

⁶³ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგება 2007 წლის 3 ივნისს ლაქერნის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში (ზუგდიდი); აუდიომასალა მოგვაწოდა საპატრიარქოს ტელეკომპანია “ივერიის“ რეჟისორმა სოსო ტყეშელავამ

ლაზი, იოვანე მინჩი, ჭყონდიდლები... ამბროსი ხელაია, კირიონი, ლეონიდე, ქრისტეფორე, კალისტრატე, მელქისედეკი... არავის მოსვლია აზრად, რომ სვანურად ან მეგრულად გადმოღებულიყო ბიბლია, ან მომხდარიყო მღვდელმსახურება! თუნდაც ავიღოთ ჩვენი ხელნაწერები:

სამეგრელოსა და სვანეთში შექმნილ მრავალ ხელნაწერთაგანაც კი არც ერთი არ არის არც სვანური, არც მეგრული, იმიტომ რომ ესენი არიან განშტოებანი ქართული ენისა! ქართული ენის, გენის, კულტურის, სიმღერის, გალობის ეს ერთობა ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ და, ამავე დროს, უნდა გვიყვარდეს ჩვენი მისი სხვადასხვა ფორმით გამოვლინება: დიდება უფალს, რომელიც გვაძლევს ჩვენ ამ მრავალფეროვნებას. თუნდაც ავიღოთ მთა; მთას თავისი სახე აქვს, ბარს - თავისი; იმერეთს - თავისი, კახეთს - თავისი, მაგრამ ჩვენ ერთნი ვართ, ერთნი უნდა დავრჩეთ.

ამისთვის შევთხოვთ უფალს მის წყალობას, მის მადლს; მადლი ყველაფერზე ძლიერია და მტერი ვერაფერს დააკლებს საქართველოს“ (სრული ტექსტისათვის იხ. დანართი).

აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი სამწიგნობრო ენის **ისტორიული უწყვეტი წყარონი**: ლაზური, მეგრული, სვანური, ტაოური, ფერეიდნული, ჰერული, თუშური და სხვა დიალექტები რაც უფრო დაშორებულია დედაენას, მით უფრო მეტ განძს ინახავს; ამიტომ ჩვენი მიზანი უნდა იყოს, შევქმნათ არა მეგრულ-ქართული, სვანურ-ქართული და მსგავსი ულოგიკო დასახელების ლექსიკონები თუ დიალექტური “დედაენები“, არამედ, განსაკუთრებით, საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართველური კილოების მფლობელთათვის დროულად უნდა მოვამზადოთ ქართული ენის სახელმძღვანელოები ქართული ენის ამ განშტოებათა ლექსიკის გამოყენებით; ამ გზით იოლად მოხდება სამწიგნობრო ენისადმი (დედაენისადმი) გაუცხოებული ქართველების ისტორიული დამოკიდებულების აღდგენა და ეროვნულ-ეთნიკური მეობის (იდენტობის) დაბრუნება.

გარდა ამისა, აუცილებელია, მომზადდეს ქართული (სამწიგნობრო) ენის **განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქცია**, სადაც სამწიგნობრო ქართულის საბაზო ლექსიკად შევა მეგრულ-ლაზურ და სვანურ კილოებში დავანებული ლექსიკა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა იმპერიის ზეობის დროს გამოცემულ “ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულში გასაგები მიზეზების გამო (იმპერია ცდილობდა ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დაყოფას) ლექსიკონში არ შეიტანეს მეგრულ-ჭანური და სვანური მასალა; ქართველთა ამ კილოების სიტყვები გათვალისწინებული არ არის არც ახლახან გამოცემულ შევსებულ ვარიანტშიც. არადა, როგორც ძველი ქართული სამწიგნობრო ტრადიცია, ისე არასაბჭოური მწერლობა მეგრულ-სვანურ-ლაზურ ლექსიკას ქართული ენის ორგანულ ნაწილად თვლიდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივი კონცეფცია; კერძოდ, ის წერს:

“ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიდარბაისლე, ხოლო აკაკიმ იმერულის სილბო. XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვეცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური

ლიტერატურული ქართული... უნდა შემოუშვათ ქართულ ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული კილოდან. ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას...“⁶⁴.

მართლაც, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში თუკი აქტიურად შევა სვანურ-მეგრულ-ლაზური, აჭარულ-ლივანურ-ტაოურ-იმერხეული თუ ფერეიდნულ-ჭერული დიალექტური ლექსიკაც, ამით უფრო გაძლიერდება ჩვენი ეროვნული სამწიგნობრო ენა, როგორც ქართველთა ერთობის ურღვევი ფუნდამენტი.

III. “ერი უსწავლელი“, “ურწმუნო მეცნიერი“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე თავის ქადაგებებში დიდ ადგილს უთმობს რწმენისა და მეცნიერების მიმართებას, რამდენადაც უმეცრება და ბოროტება, უმეცრება და გათიშულობა თანამდევო მოვლენებია; კერძოდ, ამ მიმართულებით იგი ორ დებულებას ავითარებს:

ა. უმეცარი ადამიანი კარგ შემთხვევაში არის მონა ღვთისა, თუმცა არის დიდი საფრთხე, უსწავლელი კაცი შურმა/ბოროტმა შეიპყრას.

ილია II: “თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში იყო მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაშია რწმენა და ცოდნა. ამას შეეხო ისეთი დიდი მეცნიერი, როგორც იყო კლიმენტი ალექსანდრიელი. მან თქვა, რომ პირველადი არის რწმენა და ცოდნა რწმენაზე უნდა იყოს დაფუძნებული“⁶⁵.

ეს აზრი სახარებიდან მოდის: გაცემის წინ იესო ქრისტე ეუბნება მოციქულებს: “არღარა გეტყვი თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცინ, რასა იქმნ უფალი მისი; ხოლო თქვენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქვენ“ (იოვანე, 15, 14-15). სწორედ ამის საფუძველზე აგებს კლიმენტი ალექსანდრიელი თავის მსჯელობას და ამბობს: “მხოლოდ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე განათლებული ადამიანი არის მეგობარი ღვთისა... მონა თავის მოვალეობას უფრო შიშით ასრულებს, ხოლო მეგობარი - სიყვარულით. აქვე გავიხსენოთ ესაია წინასწარმეტყველი: “შურმან შეიპყრას ერი უსწავლელი“⁶⁶.

მორწმუნე ადამიანისგან ცოდნის შეძენა არის სრულყოფის კიბე. სრულყოფილ ადამიანს კი ეშმაკი ვერ ერევა... როცა ადამიანს ცოდნა არა

⁶⁴ კ. გამსახურდია, თხზულებათა ანთომეული, ტომი, VII, ახალი სიტყვები, გვ. 411, 499). ანალოგიურია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პოზიცია (იხ. მისი გამოსვლის ტექსტი “ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ “ახალი რედაქციის“ პრეზენტაციისას (რომელიც შედგა სამეცნიერო ახალგაზრდულ ცენტრში 2008 წელს).

⁶⁵ კლიმენტი ალექსანდრიელი: “უბრალო რწმენა ადამიანს ჰყოფს მონად, ხოლო რწმენა გააზრებული - მეგობრად ღვთისა“; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 20

⁶⁶ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის საკვირაო ქადაგება, 15 აგვისტო, 1999 წ.; საპატრიარქოს უწყებანი, №33, 21-27 აგვისტო, 1999 წ.

აქვს, არ იცის თავისი ერის კულტურული ისტორია; შესაბამისად, მას იოლად უუცხოვებენ წარსულს, უკარგავენ ეროვნულ მეობას და აპირისპირებენ თანამოძმესთან... გარდა ამისა, უმეცრებაში იბუდებს რადიკალიზმი⁶⁷.

ბ. “ურწმუნო ადამიანები მეცნიერებაში საშიში ძალაა“

ილია II: “გადადგმულია უზარმაზარი ნაბიჯები მეცნიერებასა და ტექნიკაში წინ, მაგრამ ამავე დროს გადადგმულია უზარმაზარი ნაბიჯები უკან რწმენასა და სულიერ საქმეში. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მეცნიერება და ტექნიკა ეს არის ღვთის დიდი მადლი. მაგრამ ძალიან საშიშია მეცნიერება და ტექნიკა არასულიერი ადამიანის, ურწმუნო ადამიანის ხელში⁶⁸...”

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის უშუქ-ჩრდილების ფონზე კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის კონცეფცია ასეთია: **ადამიანი უნდა აღიზარდოს** მორწმუნედ და პარალელურად უნდა მიიღოს აკადემიური განათლება, რათა მან შეძლოს განყენებული აზროვნება - პატიოსანი და ანალიტიკური განსჯა⁶⁹. “მეცნიერებას დიდი და სერიოზული შედეგები ექნება იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება მორწმუნე და სულიერად ძლიერი ადამიანების ხელში. **ურწმუნო ადამიანები მეცნიერებაში საშიში ძალაა!**“⁷⁰

IV. “ჩვენი წინაპრები სხვანაირები იყვნენ“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის აზრით, ბევრი ინფორმაციის ფლობა არ ნიშნავს დიდ განათლებას, **ღრმა აზროვნებას**; ამის შესახებ ჩვენი პატრიარქი წერს: “ბოლო წლებში ადამიანმა შეიძინა ბევრი ცოდნა. ხაზს ვუსვამ - ბევრი ცოდნა და არა ღრმა ცოდნა; და მასთან ერთად, შედარებით, **ზერელე აზროვნება... “ძალიან ხშირად, არასწორი, ზერელე მსჯელობით ვართულებთ ჩვენს ცხოვრებას. ხშირად გეუბნებით, რომ საჭიროა ღრმა აზროვნება**“⁷¹...

⁶⁶ შდრ.: წმიდა სინოდმა განაჩინა: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ემიჯნება რადიკალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, როგორც ფსევდოკონსერვატიზმს, ისე ფსევდო-ლიბერალიზმს და მოუწოდებს მრევლს სამეფო გზაზე სვლას. “არა მიდრკე არცა მარჯულ, არცა მარცხულ, არამედ გზასა სამეფოსა ვიდოდე“ (წმ. აბბა დოროთე); საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმი, 14 დეკემბერი, 2004 წელი, თბილისი.

⁶⁸ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს 2001 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „თეოლოგიის კათედრა 5 წლისა (სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული), თბ., 2007, გვ. 15

⁶⁹ განყენებული აზროვნების შესახებ ილია მეორის მსჯელობისთვის იხ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის სიტყვა ხონის კონფერენციაზე: “ეკლესია და საზოგადოება“; საპატრიარქოს უწყებანი, №41, 11-22 ოქტომბერი, 1999 წ.

⁷⁰ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ქადაგება დავითობის დღესასწაულზე 2006 წლის 8 თებერვალს; საპატრიარქოს უწყებანი, № 8, 2-8 მარტი, 2006 წ. (ვრცლად იხ. დანართი)

⁷¹ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის საკვირაო ქადაგება 2002 წლის 10 ნოემბერს; საპატრიარქოს უწყებანი, №46, 10 ნოემბერი, 2002 წ.

ჩვენი წინაპრები სხვანაირები იყვნენ. მათ თუმცა ნაკლები იცოდნენ, მაგრამ ღრმად ჰქონდათ ნაფიქრი და მათი განსჯა სიღრმისეული იყო. და ეს ძალიან ეხმარებოდათ...⁷²

V. “ამგვარი გაყალბებული ისტორიით ცდილობენ ქართველთა დაქუცმაცებას“

მეცნიერების თემას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე პოლიტიკების კუთხითაც განიხილავს; კერძოდ, 2006 წლის საშობაო ეპისტოლეში გვეუბნება: “ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია... ნაწილობრივ პოლიტიკებულ მეცნიერებებია და ბუნებრივია, ყოველი qveyana Tavisi interesebidan gamomdinare, iyenebs maT. es gansakuTrebiT damaxasiaTebelia imperiebisaTvis, romelnic am meTodiT cdiloben, gaimyaron Tavisi poziciebi”⁷³. ამ TvalsazrisiT araerT qadagebasa და ეპისტოლეში პატრიარქი ჩვეული სიმართლითა და სიღრმით განიხილავს დღეისთვის ორ მტკივნეულ პრობლემას:

- კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში;
- მეგრულად და სვანურად საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა.

პატრიარქი ბრძანებს:

— საბჭოთა იმპერიის ისტორიოგრაფიამ ცრუ წარმოდგენები შეუქმნა აფხაზეთსა და ოსებს: თითქოსდა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არაქართული ტერიტორიებია. აფხაზეთი და ოსთა ერთ ნაწილს ქართველებისადმი მტრობა ჩამოუყალიბდათ, მაგრამ დიდი ნაწილი არ მოტყუვდა: **აფხაზეთი და ოსთა დიდი ნაწილი დღესაც ქართველებთან ერთად მეგობრულ-ნათესაურად ცხოვრობს...** მიუხედავად ამისა, იმპერიის მსახურნი ცდილობენ, არსებული კონფლიქტები მონათლონ **ეთნოკონფლიქტად მოძმე ხალხებს** შორის. მტერმა მიზანს ბოლომდე ვერ მიაღწია: მიუხედავად ყველაფრისა, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ომი განიხილება საქართველოს დაპირისპირებად აგრესორ გარე ძალასთან⁷⁴...

— პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილი ანტიქართული ისტორიოგრაფიული თეორიის მიზანია, ქართველთა ერთ ნაწილს გაუუცხოვოს ისტორიული კულტურა; მავანნი დღესაც აცხადებენ, რომ ქართული მწიგნობრობა მხოლოდ აღმოსავლეთ ქართველებსაა. ისინი **უმწიგნობრო ხალხებად** აცხადებენ მეგრელებს, ლაზებს, სვანებს... ამგვარი გაყალბებული ისტორიით ცდილობენ ქართველთა დაქუცმაცებას და ერთმანეთთან დაპირისპირებას...

⁷² სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის საკვირაო ქადაგება 2004 წლის 26 დეკემბერს; საპატრიარქოს უწყებანი, № 1, 7-13 იანვარი, 2006 წ.

⁷³ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საშობაო ეპისტოლე, თბილისი, 2006, გვ. 10.

⁷⁴ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საშობაო ეპისტოლე, თბილისი, 2006, გვ. 10-11; აფხაზეთის შესახებ ხშირად მსჯელობს ილია II; 2003 წლის 27 სექტემბერს, ჯვართამაღლებს კი ბრძანა; “...11 წელი ვიყავი მღვდელმთავარი აფხაზეთში და ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ ქართველი ხალხი მოსულიყო ტაძარში და ვერაფრით მივადწიე ამას. ურწმუნო ქართველი ხალხი იქიდან წამოვიდა და შინ მორწმუნე დაბრუნდება...” საპატრიარქოს უწყებანი, №38, 26 სექტემბერი-2 ოქტომბერი, 2003 წ.

როგორც ადრე, ახლაც ქართული საზოგადოება მათ საკადრის პასუხს გაცემს⁷⁵. ამავდროულად ეხება წმიდა სინოდის განჩინების ერთი პუნქტიც:

„განაჩინეს: დაუშვებელია ისტორიის გაყალბება - მეგრელებისა და სვანების მწიგნობრობისა და ქრისტიანული კულტურის არმქონეობად გამოცხადება და ამ კუთხის შვილებისათვის XXI საუკუნეში ბიბლიის თარგმნა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ერის გათიშვას და ქვეყნის მთლიანობის დარღვევის მცდელობას“⁷⁶.

VI. შვილების დაკარგვა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ დიდ საფრთხედაა მიჩნეული ქართველთა წასვლა უცხოეთში; ეს საფრთხეც რეალურია, ვინაიდან: უცხოებაში კვლავ დაგვარგავთ დედაენას, დედაკულტურას, დედარელიგიას; უცხოეთში დაბადებული შვილები ვერ შეიძენენ იმ ცოდნას, რომელიც ადამიანს ქართველად აყალიბებს; დროთა განმავლობაში მათ შთამომავლებსაც დაეკარგებათ **ეროვნული მეობის** მასაზრდოებელი მთავარი ძარღვი...

კერძოდ, პატრიარქი ბრძანებს: “მინდა გამოვთქვა ჩემი, და საერთოდ, ყველას გულისტკივილი იმის გამო, რომ ბოლო დროს მრავალი ქართველი ახალგაზრდა წავიდა უცხოეთში. უმეტესობა გაჭირვებამ წაიყვანა... რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ზოგიერთი ვერ ან არ დაბრუნდება სამშობლოში. ეს იმას ნიშნავს, რომ მას დაეკარგება ენა, ეროვნება, ყველაფერი ის, რითაც ამაყობდა ქართველი“... “ფაქტიურად, ისინი დაკარგული შვილები შეიძლება გახდნენ ჩვენთვის“⁷⁷.

დღეს საქართველოში ბევრი პრობლემაა; პრობლემების გამო ტოვებენ სამშობლოს ქართველები. სანამ გადახვეწილი შვილები სამშობლოში დაბრუნებას შეძლებენ, მათი რწმენისა და ენის შენარჩუნების (ზოგადად, ქართული იდენტობის) მიზნით **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ** მათთვის დააარსა “დასავლეთ ევროპის ეპარქია“ (მიტროპოლიტი აბრაამ გარმელია), ცენტრით ბრიუსელში⁷⁸.

VII. უგნური ლიბერალიზმი

ილია II: “თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არ აქვს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად მთლიანად დაანგრევს ქვეყანას... უგნური ლიბერალიზმი, როგორც წესი, სათავეა მრავალი ნეგატიური მოვლენისა“⁷⁹... აქ მხოლოდ

⁷⁵ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საშობაო ეპისტოლე, თბილისი, 2006, გვ. 10.

⁷⁶ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმი, 23 დეკემბერი, 2005 წელი, თბილისი; საპატრიარქოს უწყებანი, №45, 29 დეკემბერი - 4 იანვარი, 2005 წ. (ტექსტისთვის იხ. აგრეთვე, დანართი).

⁷⁷ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის საკვირაო ქადაგება, 5 იანვარი, 2003 წ.; საპატრიარქოს უწყებანი, № 1, 10-16 იანვარი, 2003 წ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე 19 იანვარი, 2003 წ.; საპატრიარქოს უწყებანი, №3, 24-30 იანვარი, 2003 წ.

⁷⁸ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის სიტყვა დასავლეთ ევროპის ეპარქიის პრეზენტაციის დროს; საპატრიარქოს უწყებანი, №3, 24-30, იანვარი, 2003 წ.

⁷⁹ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის 2001 წლის საადგილო ეპისტოლე; საპატრიარქოს უწყებანი, №16, 21-27 აპრილი, 2001 წ.

აღვნიშნავთ, რომ უგნური, უგონური ლიბერალიზმი ხშირად ზერელე ცოდნის შედეგია, ზოგჯერ კი - გააზრებული მავნებლობისა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კიდევ ბევრი საშიშროების შესახებ გვაფრთხილებს...

დასკვნის ნაცვლად:

1. მამული, ენა, სარწმუნოება არა მხოლოდ საუნჯე, არამედ ცხოვრების წესიც უნდა იყოს ქართველი ერისთვის:

წუთისოფელი ადამიანის გამოცდაა და, ბუნებრივია, დღევანდელი საქართველო, ქართველის ერის ამჟამინდელი თაობაც (გამო)ვიცდებით. ქართველები გამოცდის გზას წარმატებით გავივლით და უფრო ძლიერნი და ერთიანნი ვიქნებით, თუკი საქართველოს ექნება თავისი იდეოლოგია. იდეოლოგია საშიში სიტყვა არ არის; ისევ ჩვენს პატრიარქს მოვუსმინოთ:

“დღეს ხშირად საუბრობენ, თუ როგორი უნდა იყოს იდეოლოგია საქართველოში, როგორი უნდა იყოს ქართული იდეა... მიმაჩნია, რომ, უპირველეს ყოვლისა, წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული კულტურა, “ენა, მამული, სარწმუნოება“, ჩვენი დამწერლობა, ჩვენი ხუროთმოძღვრება...”⁸⁰

პატრიარქის სხვა გამოსვლებშიც ხშირადაა ხაზგასმული, რომ ქართველ ერს ქმნის: **ერთი ენა, ერთიანი სამშობლო და ტრადიციული მართლმადიდებლური რწმენა...**

2. ქვეყნას სჭირდება ობიექტური და თანამედროვე ქართველოლოგია:

საქართველოს მოსახლეობისა და მთელი მსოფლიოსადმი კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის **ლოცვა, სიყვარული და მართალი სიტყვა** დიდი ღვაწლია; თუმცა უწმიდესი და უნეტარესი კონკრეტული საქვეყნო საქმეებითაც აქტიურად ცდილობს, რომ ჩვენმა ერმა დროულად დააღწიოს თავი **ურწმუნობას, უმეცრებას, გაყალბებული ისტორიების ტყვეობასა და მტერთაგან დაგებულ ხაფანგებს.**

ამ მიზნით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დიდად უწყობს ხელს **ქართველოლოგიის განვითარებას**; იგი იღვწის, რათა გადაისინჯოს იმპერიის ველში შექმნილი პოლიტიზებული “სამეცნიერო“ დებულებები; გარდა ამისა, პატრიარქი დღენიადაგ ზრუნავს, რომ ხალხში პოპულარული გახდეს თანამედროვე ქართველოლოგიური კვლევების შედეგები.

პატრიარქის ღვაწლი განსაკუთრებულია **ქართული ენის წარმოჩენის** მიმართულებით; მაგალითად, უწმიდესისა და უნეტარესის კურთხევით გამოიცა:

- კრებული: **“ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“** (I თავი - ლილი ხევსურიანი, II-V თავები - ტარიელ ფუტყარაძე, საგალობელი - იოსებ კუჭუხიძე, მხატვარი - ილია ჭრელაშვილი; ქუთაისი, 2000);

- კრებული: “მამული, ენა, სარწმუნოება“ თბ., 2007 (რედაქტორები: მონაზონი ნინო (გრიგოლაძე) და ლალი დათაშვილი)...

⁸⁰ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგება მირქმის დღესასწაულზე (სიონის საპატრიარქო ტაძარი, 15 თებერვალი, 2004 წ.); საპატრიარქოს უწყებანი, №7, 19-25 თებერვალი, 2004 წ.

2005 წლის 1 ნომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ხელმძღვანელობით შეიქმნა **“საქართველოს საეკლესიო ენის ისტორიის კვლევის ცენტრი”**. ამ ცენტრთან ფუნქციონირებს **“ქართული ენისა და კულტურის კვლევის სამეცნიერო საბჭო”** (ხელმძღვანელი მიტროპოლიტი ანანია), რომელიც ორგანიზებას უწევს საეკლესიო ენისა და ქართველური ენა-კილოების ისტორიული მიმართების შესწავლას⁸¹.

2007 წელს შეიქმნა ტელემაუწყებლობა “ივერია”; პატრიარქს სურს, რომ ამ ტელევიზიამ ახალგაზრდებში ჩამოაყალიბოს სახელწიფოებრივი აზროვნება და შემეცნებითი გადაცემებით მთელ საქართველოს მისცეს ობიექტური ცოდნა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესახებ⁸².

2008 წელს დააარსა ანდრია პირველწოდებულის სახელობისა და ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტები და მრავალი სხვ.

3. ენა - ქართული, რწმენა - ჭეშმარიტი:

წიგნს დავამთავრებთ **სინას მთაზე** 1984 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის უფლისადმი ლოცვის ერთი ფრაგმენტით: “მსგავსად წმიდისა მამისა ჩვენისა იოვანე ოქროპირისა, მე ცოდვილი მონა შენი, ილია II, ყოველთა ქართველთა სახელითა ვხმობ:

“გადიდებ შენ და გმადლობ შენ, მოწყალეო, რამეთუ გვქმენ მსგავსად შენდა, რამეთუ **მოგვანიჭე ენა ქართული და რწმენა ჭეშმარიტი**“...⁸³

⁸¹ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ბრძანება №119

⁸² სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის 2007 წლის სააღდგომო ეპისტოლე; საპატრიარქოს უწყებანი, №11, 12-18 აპრილი, 2007

⁸³ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 4

TARIEL PUTKARADZE**THE GEORGIAN LANGUAGE –
NATIONAL LIFE OF GEORGIANS**

According to epistles, sermons and speeches of Catholicos-Patriarch of All Georgia, the Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Metropolitan Bishop of Abkhazia and Pitsunda, His Holiness and Beatitude Ilia II

The history of the humankind chronicles the birth and death of various peoples. On the background of the serious events of arising and vanishing of the societies the thirty-three thousand years of life and survival history of the Georgian people could be passed for a miracle, which, above all, has been performed by means of the Georgian language. It is also an unmistakable fact that during the last two-thousand years the Georgian national identity has been nurtured by the Christian faith. As Christianity here was not only the philosophy of life and the way of existence, when facing the invasions of enemies Georgian people held uncompromised attitudes to their faith that made them intrepid and unbroken; gradually, through the flow of centuries, Christian churches and monasteries turned into active Kartvelian (Georgian language) cultural centers and divine sources for strengthening and sharpening the sense of national unity. In case of certain successes of Georgia's enemies in the weakening or crumbling of the country in various periods of history the Georgian Church managed to maintain the common Church and the national and state space and drew up correct national guidelines for its people under the given circumstances. Nowadays when 20% of the present Georgian state territories, recognized by the world commonwealth, has been occupied and annexed to the enemy state the Georgian Church provides the same guidance.

In the present era of great imperial aggressions and of globalization the words of His Beatitude Ilia II, Catholicos-patriarch of all Georgia, clearly determine the ways for the Georgia's national survival.

The present book reflects His Beatitude Ilia II's visions about the language and culture history of Georgians and modern threats pending on the country. In particular, the book discusses the following issues:

- Righteous Lazarus – the symbol of the Georgian nation;
- Since when do we celebrate the Day of the Georgian Language?
- April 14th - the Day of the state language of Georgia;
- The literary Georgian language as the unshakable foundation of the Georgian nation, and more.